



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## კომისიის შეხვედრა

თარიღი: 7 თებერვალი, 2020 წელი

დრო: 15:00 -16:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია - თბილისის ოფისი

## შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. თამარ გაბისონია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

7 თებერვალს გაიმართა შემფასებელი კომისიის შეხვედრა, რომელმაც უნდა განიხილოს, პროგრამული მხარდაჭერის ფარგლებში შემოსული საპროექტო განაცხადები. კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს ელექტრონულ მისამართზე, 7 საპროექტო წინადადება შევიდა. აღნიშნული მასალები გადაეგზავნა კომისიის წევრებს.

კომისიის პირველ შეხვედრაზე განიხილეს საპროექტო განაცხადების შეფასების საკითხი. კომისიამ შეხვედრაზე იმსჯელა საპროექტო განაცხადების შეფასების სისტემაზე. წევრებმა დაადასტურეს, რომ შეფასება იქნება 10 ქულიანი, სადაც 10 არის უმაღლესი შეფასება. კომისიის თითოეული წევრი შეფასებას გააკეთებს ინდივიდუალურად. შემდეგ მოხდება მიღებული შეფასებების შეკრება და საბოლოოდ დაითვლება საშუალო არითმეტიკული. მინიმალურ გამსვლელ ქულად ჩაითვლება 25 ( 10 ქულიან სისტემაში 5 ქულა არის მინიმალური ).

აპლიკანტებს პასუხი გაეგზავნებათ კომისიის სახელით, სადაც ნაჩვენები იქნება საბოლოო, კომისიის საერთო, გადაწყვეტილება.

შეხვედრაზე შემფასებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომისიის წევრი არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას იმ კონკრეტულ განაცხადთან დაკავშირებით, სადაც იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი.

კომისიის შემდეგი სხდომა გაიმართება 13 თებერვალს.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურამე